

2020 წლის 15 ივნისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№53 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. ბათუმი

22 დეკემბერი, 2020 წ.

ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოსა“ და შპს „გზებს“ შორის 2020 წლის 15 ივნისს დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №53 ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე დელფინარიუმის მიმდებარე ტერიტორიიდან შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე (ე.წ. არდაგანის ტბა) გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაციის ამუშაოები (CMR200076006).

ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ მონიტორინგისა და ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების N1604-90, 21/12/2020 მოხსენებითი ბარათით ირკვევა: შ. რუსთაველის ქუჩაზე, ნ. ჩარმიქლის ქუჩის კვეთიდან შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე, ასევე ი. ჯავახიშვილის ქუჩის მონაკვეთზე, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ახალი წყალარინების სისტემის მოწყობის სამუშაოები.

მიმდინარე წლის 16 ივლისს წერილობით (90/1235; 16.07.2020წ.) მიმართეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურს მათი ზედამხედველობით მიმდინარე სამუშაოების დასრულების ვადის დასადგენად.

მიმდინარე წლის 29 ივლისს ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ში შემოსული წერილით (№25/14881 29.07.2020), ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური აღნიშნავს, რომ შ. რუსთაველის ქუჩაზე ნ. ჩარმიქლის კვეთიდან ი. ჯავახიშვილის ქუჩის კვეთამდე მონაკვეთის რეაბილიტაცია შესაძლებელი იყო პარალელურ რეჟიმში, ხოლო რაც შეეხება დარჩენილ მონაკვეთზე სამუშაოების წარმოებას შესაძლებელი იქნებოდა ახალი წყალარინების სისტემის მოწყობის შემდგომ, რომლის რეაბილიტაციასაც დასჭირდებოდა 2 თვე, იმ შემთხვევაში თუკი რაიმე გაუთვალისწინებელ სამუშაოებს არ ექნებოდა ადგილი.

ვინაიდან №53 ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 2020 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი, ზემოთაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ასევე იმის გათვალისწინებით რომ დარჩენილ მონაკვეთზე, სადაც მიმდინარეობდა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტის ფარგლებში ახალი წყალარინების სისტემის მოწყობა, გზის რეაბილიტაციისათვის საჭირო იყო გრუნტის შეცვლა და ახალი სანიაღვრე სისტემის მოწყობა, რაც №53 ხელშეკრულების საპროექტოსახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არ იყო გათვალისწინებული, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სამუშაოები შესრულებულიყო შ. რუსთაველის ქუჩაზე დელფინარიუმის მიმდებარე ტერიტორიიდან ი. ჯავახიშვილის ქუჩის კვეთამდე.

სამუშაოების მოცულობის შემცირებამ გამოიწვია №53 ხელშეკრულების ღირებულების შემცირება, შპს „გზები“-ს მიერ წარმოდგენილი (წერილი №2304/90; 21.12.2020წ.) შესრულებული სამუშაოების №1 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით შეადგინა 89 286, 68 ლარი, ნაცვლად 173 592,02 ლარისა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მონიტორინგისა და ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიზანშეწონილად მიაჩნია შევიდეს შესაბამისი ცვლილება ხელშეკრულების ღირებულებაში.

ყოველივე ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ერთის მხრივ ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“, მისი დირექტორის სულხან ევგენიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გზები“, მისი დირექტორის, ირაკლი აბაშიძის სახით, მოქმედი კანონმდებლობისა და 2020 წლის 15 ივნის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №53 ხელშეკრულების მე-11 მუხლის საფუძველზე, შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. შეიცვალოს სახელშეკრულებო ღირებულება და განისაზღვროს 89286,68 ლარით;
2. ხელშეკრულების დანარჩენი პირობები დარჩეს უცვლელი.

წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2020 წლის 15 ივნისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №53 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ა(ა)იპ „საქალაქო
ინფრასტრუქტურისა და
კეთილმოწყობის სამმართველოს“
დირექტორი: სულხან ევგენიძე

შპს „გზები“ დირექტორი:
ირაკლი აბაშიძე

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)